საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1131 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - შემოსავლების სამსახურმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის ჩასატარებელი ტენდერისათვის, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხის მინიმალური ოდენობის სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის, საბანკო გარანტიების ოდენობისა და სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველკვარტალურად გადასახდელი ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების

პროცენტის განსაზღვრის მიზნით, მესამე პირის მიერ ჩასატარებელ კვლევასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**